79/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 9 (464)

1979 წლის სექტემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 9 (464) სექტემბერი 1979 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

255. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

256. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა შრომის დაცვისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მოხსენებითი ბარათის თაობაზე.

257. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენებითი ბარათის თაობაზე.

258. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების შესახებ.

### განყოფილება მეორე

259. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

260. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

261. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

262. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. თ. პეტრიაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

263. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

264 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ფეხბურთელებისა და მწვრთნელთა შემადგენლობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

265. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სპორტსმენთა ჯგუფის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

266. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ზ. ალელიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

267. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალტირაჟიან გაზეთ „ჩვენი საყვირის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

268. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალტირაჟიან გაზეთ „ჩვენი საყვირის“ რედაქციის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

269. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „კომუნიზმის დროშით“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

270. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

271. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. დემურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

272. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. გ. კაციტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

273. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. გ. ნადირაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

274. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. მ. ოქროპირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

275. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. სობოლევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

276. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ნ. სულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

277. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. რ. ხუნდაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

278. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 255 ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

იმ მიზნით, რომ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ 1972 წლის 15 ივნისის კანონი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 6, მუხ. 101) შეესაბამებოდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას, საქართველოს სსრ კონსტიტუციას და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 18 ივნისის ბრძანებულებას, შეტანილ იქნეს ამ კანონში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 და მე-4 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მ უ ხ ლ ი 3.** მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის უფლება

სსრ კავშირის კონსტიტუციის და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ გაწეული უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება; მოქალაქეთა სამკურნალო და ჯანმრთელობის გასაკაჟებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება; უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის განვითარება და სრულყოფა; ფართო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება; გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებანი; განსაკუთრებული ზრუნვა მოზარდი თაობის ჯანმრთელობისათვის, მათ შორის აკრძალვა ბავშვთა შრომისა, რომელიც დაკავშირებული არ არის სწავლებასა და შრომითს აღზრდასთან; დაავადებათა თავიდან აცილებისა და შემცირების, მოქალაქეთა ხანგრძლივი აქტიური ცხოვრების უზრუნველსაყოფად მეცნიერული კვლევის განვითარება.

**მ უ ხ ლ ი 4.** მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოვალეობაა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მოვალეობაა. აღნიშნული ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლებამოსილებანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში განისაზღვრება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

პროფესიული კავშირები, კოოპერაციული ორგანიზაციები, წითელი ჯვრის საქართველოს სსრ საზოგადოება და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი წესდებების (დებულებების) შესაბამისად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაში მონაწილეობენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მოქალაქენი უნდა უფრთხილდებოდნენ თავიანთ ჯანმრთელობას და საზოგადოების სხვა წევრთა ჯანმრთელობას“.

2. მე-5 მუხლის მესამე და მეშვიდე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) გარემოს გაჯანსაღების, წყალსატევების, ნიადაგისა და ატმოსფერული ჰაერის სანიტარიული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებით“;

„7) სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, პროფილაქტორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, ტურისტული ბაზებისა და მოქალაქეთა სამკურნალო და ჯანმრთელობის გასაკაჟებელი სხვა დაწესებულებების ქსელის გაფართოებით“;

3. მე-6 მუხლის მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4) მოკავშირე რესპუბლიკებს, სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს შორის სამედიცინო მრეწველობის პროდუქციის წარმოებისა და განაწილების, მედიკამენტების, სამედიცინო ტექნიკის საგნებისა და სამედიცინო დანიშნულების სხვა ნაწარმის ექსპორტისა და იმპორტის საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა“;

4. მე-8 მუხლის მეორე ნაწილის მეხუთე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და დაწესებულებებს, ზომებს იღებენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის განვითარებისათვის, მათი სწორად განლაგებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციისათვის; კოორდინაციასა და კონტროლს უწევენ ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას იმ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, სანიტარიულ-ეპიდემიურ კეთილდღეობას, მშრომელთა დასვენების ორგანიზაციას, ფიზიკური კულტურის განვითარებას, გარემოს დაცვასა და გაჯანსაღებას, აგრეთვე აკონტროლებენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებას“.

5. მე-9 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სხვა სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი თავიანთ გამგებლობაში შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით და მოვალენი არიან მართონ ისინი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად“.

6. მე-13 მუხლი მესამე ნაწილის შემდეგ შეივსოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილით:

„ექიმი, რომელსაც თავისი პროფესიით არ უმუშავია სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სტაჟირებისათვის უნდა გაიგზავნოს დახელოვნების ინსტიტუტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა შესაბამის დაწესებულებებში და შემდგომ დაშვებულ იქნეს საექიმო საქმიანობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით“.

მე-13 მუხლის მეოთხე ნაწილი ჩაითვალოს მეხუთედ.

7. მე-18 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ექიმებსა და მედიცინის სხვა მუშაკებს, აგრეთვე ფარმაცევტიკის მუშაკებს უფლება არა აქვთ გათქვან პროფესიული მოვალეობის შესრულებისას მოქალაქეთა დაავადების, ინტიმური და ოჯახური ცხოვრების შესახებ გაგებული ცნობები“.

8. 22-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება გარემოს გაჯანსაღებისათვის, მოსახლეობის შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის, დაავადებათა თავიდან აცილებისა და შემცირებისათვის ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის, კოლმეურნეობების, პროფესიული კავშირების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოვალეობაა“.

9. 63-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სს რესპუბლიკაში დედობას იცავს და წაახალისებს სახელმწიფო; ქალებს უქმნიან პირობებს, რაც დედობასთან შრომის შეხამების შესაძლებლობას იძლევა; უზრუნველყოფილია დედისა და ბავშვის სამართლებრივი დაცვა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა“.

10. 79-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების 51-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზების ორგანიზაციისა და წარმოების წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსთან, სსრ კავშირის პროკურატურასთან, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით“.

11. კარი IX ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

## „ კ ა რ ი IX

## საერთაშორისო ხელშეკრულებანი

**მ უ ხ ლ ი 83.** საერთაშორისო ხელშეკრულებანი

თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესები განსხვავდება წესებისაგან, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირის კანონმდებლობა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, იყენებენ საერთაშორისო ხელშეკრულების წესებს. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს განსხვავება საქართველოს სსრ კანონმდებლობასა და მის მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის“.

12. მე-8, მე-9, 33-ე, 38-ე, მე-40, 52-ე და 70-ე მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 4 სექტემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 256 სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა შრომის დაცვისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მოხსენებითი ბარათის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში სახალხო დეპუტატთა საბჭოებს როლს, საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად **ადგენს:**

— საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მოხსენებითი ბარათი „სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა შრომის დაცვისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად დაეგზავნოს სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს;

დაევალოთ მათ მკაცრი კონტროლი დააწესონ საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებაზე; ამ მიზნით პერიოდულად შეისწავლონ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები და განახორციელონ ღონისძიებანი მოხსენებით ბარათში აღნიშნულ და სხვა ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის;

— დაევალოთ ახმეტის, თელავის, ქარელის, ხაშურის, საჩხერის, ადიგენის, ასპინძის რაიონული და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ინფორმაცია მოხსენებით ბარათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების და მათი შედეგების შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1980 წლის მაისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 5 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 257 სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენებითი ბარათის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენებითი ბარათი „სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ დაეგზავნოს რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს და სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს. დაევალოს მათ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისას განუხრელად იხელმძღვანელონ 1978 წლის 24 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე ამომრჩეველთა განაწესებზე ბელორუსიის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის პრაქტიკის შესახებ საკითხის განხილვის დროს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში მოცემული დებულებებით, სსრ კავშირის კონსტიტუციით; ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენისას გაითვალისწინონ ამომრჩეველთა განაწესები; გამოძებნონ ადგილობრივი რესურსები და შესაძლებლობები მათი რეალიზაციისათვის; უზრუნველყონ ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება; მიიღონ საჭირო ზომები განაწესების შესრულებისადმი კონტროლის გასაძლიერებლად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 28 სექტემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 258 „სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების თაობაზე“ დაეგზავნოთ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრუ-

ლებელ კომიტეტებს და დაევალოთ მათ შეიმუშაონ ღონისძიებანი აღნიშნული დადგენილების განუხრელად შესრულებისათვის. შედეგების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1980 წლის პირველი მარტისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 28 სექტემბერი.

## განკოფილება მეორე

### გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 259 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა იზოლაციის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“** დაჯილდოვდნენ:

გურამ მამიას ძე **ჯახუტაშვილი** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.

ზაურ გიორგის ძე **მენთეშაშვილი** — მილიციის კაპიტანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 28 სექტემბერი.

### გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 260 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“** დაჯილდოვდნენ:

გენადი ივანეს ძე **ანაკიძე** — ქუთაისის № 38 პროფესიული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭაბუკი ვახტანგის ძე **გვაზავა** — ქუთაისის № 35 პროფესიული სახანძრო ნაწილის განყოფილების მეთაური.

ანზორ პლატონის ძე **ელიავა** — ქუთაისის № 35 პროფესიული სახანძრო ნაწილის განყოფილების მეთაური.

იოსებ მიხეილის ძე **კირკიტაძე** — ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების ოპერატიული მორიგე.

სერგი ონისიმეს ძე **კოკელიძე** — ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.

ავთანდილ არჩილის ძე **მუავანაძე** — ქუთაისის № 35 პროფესიული სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

გრიგოლ დავითის ძე **ფხაკაძე** — ქუთაისის № 36 პროფესიული სახანძრო ნაწილის განყოფილების მეთაური.

დურმიშხან ერასტის ძე **ჭეიშვილი** — ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

თენგიზ შალვას ძე **ხუნდაძე** — ქუთაისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი.

გიორგი სევერიანეს ძე **ჯინჭველაშვილი** — ქუთაისის № 37 პროფესიული სახანძრო ნაწილის განყოფილების მეთაური.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ბილამვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 28 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 261 საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის** საპატიო წოდება საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკებს:

დიმიტრი ალექსანდრეს ძე **გველესიანს** — ქუთაისის სატყეო მეურნეობის ქუთაისის **სატყეოს** უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკანდრო მიქელას ძე **ქორაიას** — ოჩამჩირის სატყეო მეურნეობის ოქუმის სატყეოს უფროსს.

კუკური ილიას ძე **ღლონტს** — მახარაძის სატყეო მეურნეობის შემოქმედის სატყეოს უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 27 სექტემბერი.

## გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 262 ამხ. კ. თ. პეტრიაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ენერგეტიკის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამიერკავკასიის ენერგოსისტემების გაერთიანებული სადისპეტჩერო სამმართველოს უფროსს ამხ. კაკო თევდორეს ძე **პეტრიაშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 27 სექტემბერი.

## გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 263 თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი წარმატებითი გამოსვლისათვის, 1978 წელს ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისა და 1979 წელს ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მოპოვებისათვის **თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 4 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





**264 თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ფეხბურთელებისა და მწვრთნელთა შემადგენლობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

წარმატებით გამოსვლისათვის და 1978 წელს ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისა და 1979 წელს ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მოპოვებისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ფეხბურთელები და მწვრთნელთა შემადგენლობა:

კახი შალვას ძე **ასათიანი** — თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი.

ნოდარ ფარსადანის ძე **ახალკაცი** — თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი.

ოთარ ამბროზის ძე **გაბელია** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ანზორ სიმონის ძე **გაბიტაშვილი** — თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი — მასაჟისტი.

დავით დავითის ძე **გოგია** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ვლადიმერ გაბრიელის ძე **გუცაევი** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ვიტალი კუხინის ძე **დარასელია** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

**ზაქარია** ალექსანდრეს ძე **თელია** — თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ექიმი.

ნუგზარ შალვას ძე **კაკილაშვილი** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ფირუზ გრიგოლის ძე **კანთელაძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

თამაზ გივის ძე **კოსტავა** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ვახტანგ კარლოს ძე **კოპალეიშვილი** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

სერგი ივანეს ძე **კუტივაძე** — თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი.

მანუჩარ დომენტის ძე **მაჩაიძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

გოჩა დომენტის ძე **მაჩაიძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ აკაკის ძე **მაჭავარიანი** — თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ადმინისტრატორი.

დიმიტრი ამირანის ძე **მუჯირი** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

გივი გიორგის ძე **ნოდია** — თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი.

თენგიზ გრიგოლის ძე **სულაქველიძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ვახტანგ იონას ძე **ქორიძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტ-ტრუქტორი სპორტში.

დავით დავითის ძე **ყიფიანი** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტ-რუქტორი სპორტში.

რამაზ ალექსანდრეს ძე **შენგელია** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ალექსანდრე გაბრიელის ძე **ჩივაძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

რევაზ ვლადიმერის ძე **ჩელებაძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

გიორგი ლეონის ძე **ჭილაია** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტ-რუქტორი სპორტში.

ნოდარ გიორგის ძე **ხიზანიშვილი** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

შოთა იურის ძე **ხინჩაგაშვილი** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

აკაკი დიმიტრის ძე **ხუციშვილი** — მწვრთნელი საერთო-ფიზიკურ მომ-ზადებაში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 4 სექტემბერი.

## გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 265 სპორტსმენთა ჯგუფის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადაში გამარჯვებული სპორტსმენები და პრიზიორები:

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სპარტაკიადის ჩემპიონები

ირინე ალბერტის ასული **გაბაშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

საიდა კაბორის ასული **გუნბა** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი.

იოსებ ირაკლის ძე **მაღალაშვილი** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

თეიმურაზ სპარტაკის ძე **მატოიანი** — სამხედრო მოსამსახურე.

მიხეილ გიორგის ძე **სალაძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

პაატა იროდიონის ძე **შამუგია** — სამხედრო მოსამსახურე.

პეტრე იურის ძე **ჩევარდოვი** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ლიანა შოთას ასული **ცოტაძე** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი.

რამაზ ნოეს ძე **ხარშილაძე** — სამხედრო მოსამსახურე.

თეიმურაზ ყარამანის ძე **ხუბულური** — სამხედრო მოსამსახურე.

## სპარტაკიადის პრიზიორები

ვალერი არჩილის ძე **არუთინოვი** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი.

თეიმურაზ ვახტანგის ძე **აფხაზავა** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ვახტანგ გერმანეს ძე **ბლაგიძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

დავით ნოდარის ძე **გვახარია** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ემზარ ბეჟანის ძე **გელაშვილი** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

მიხეილ რევაზის ძე **გიორგაძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

გელა ვახტანგის ძე **გუკვაძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ოლეგ ივანეს ძე **დეულინი** — სამხედრო მოსამსახურე.

გიორგი ვიქტორის ძე **დოლიძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

გიორგი ტარასის ძე **ზუმბულიძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

გურამ გრიგოლის ძე **თაქთაქიშვილი** — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „განთიადის“ მწვრთნელი.

თამაზ ზურაბის ძე **იმნაიშვილი** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ასპირანტი.

ოთარ შოთას ძე **ოსელიანი** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ვლადიმერ ლევანის ძე **ისელიძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

დავით ივანეს ძე **კვაჭაძე** — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ქარიშხალას“ რესპუბლიკური საბჭოს კრივის ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლის დირექტორი.

გიორგი უშანგის ძე **კოლუაშვილი** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი.

თამაზ ვარლამის ძე **კუტივაძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ნოდარ ვასილის ძე **კურტანიძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

ქეთევან ბაგრატის ასული **ლოსაბერიძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი.

თამაზ დავითის ძე **ნამგალაური** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში.

დათო გალაქტიონის ძე **რურუა** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი.

ზურაბ ოთარის ძე **ქოიავა** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი.

ამირან ირაკლის ძე **ხიზანიშვილი** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი.

დავით ივანეს ძე **ჯაგაშვილი** — არმიის სპორტული კლუბის ინსტრუქტორი სპორტში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

თბილისი. 1979 წლის 4 სექტემბერი.

## ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

## 266 ᲐᲛᲮ. Ვ. Ზ. ᲐᲚᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს კადრების განყოფილების

ეროვნული ბიბლიოთეკა



უფროსი ამხ. ვლადიმერ ზაქარიას ძე **ალელიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 4 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 267 მრავალტირაჟიან გაზეთ „ჩვენი საყვირის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

267268

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის და გამოცემის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთი **„ჩვენი საყვირი“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 5 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 268 მრავალტირაჟიან გაზეთ „ჩვენი საყვირის“ რედაქციის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მრავალტირაჟიან გაზეთ **„ჩვენი საყვირის“** გამოცემის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ რედაქციის თანამშრომლები:

მარიამ გიორგის ასული **ვაშაკიძე** — გაზეთის ლიტმუშაკი.
გიორგი გიორგის ძე **მარიამული** — გაზეთის მუშა-კორესპონდენტი.
ზურაბ გიორგის ძე **ფირცხალაიშვილი** — გაზეთის მუშა-კორესპონდენტი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 5 სექტემბერი.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 269 გაზეთ „კომუნიზმის დროშით“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში აქტიური შუშაობისათვის და მე-5000 ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით წალენჯიხის რაიონული გაზეთი **„კომუნიზმის დროშით“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1979 წლის 5 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 270 ქ. თბილისის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წევრთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქ. თბილისში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წევრები:

ბეგლარ ნიკოლოზის ძე **ბაბუციძე** — თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკის ცვლის ოსტატი.

გიზო შოთას ძე **ესაკია** — საწარმოო გაერთიანება „საქღვინმანქანათმშენის“ თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის ხარატი.

გიორგი ოსმანის ძე **ლომაძე** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი.

დიმიტრი აკაკის ძე **ნაკაშიძე** — ინსტიტუტ „კავკასსოფლმრეწვმშენსახპროექტის“ სექტორის უფროსი ინჟინერი.

გიორგი დავითის ძე **პანკველაშვილი** — საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ გამომთვლელი მანქანების შემკეთებელი ზეინკალი.

გივი დიმიტრის ძე **რუსიშვილი** — თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხნის ოსტატი.

ბადრი ვაჟას ძე **სირბილაძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

ნოდარ გურამის ძე **სიხარულიძე** — თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროს მწნეხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ იასონის ძე **ტასოევი** — სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის საქალაქო სამმართველოს განყოფილების უფროსი.

თემურ სერგის ძე **შავლაძე** — № 10 ტრესტ „მაღლივმშენის“ № 2 სამშენებლო სამმართველოს მებეტონე.

გურგენ იაკობის ძე **ჩეხაშვილი** — თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ მუშა.

სოლიკო იოსების ძე **ჩოხელი** — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მძღოლი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

**თბილისი. 1979 წლის 13 სექტემბერი.**

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 271 ამხ. გ. გ. დემურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების სექტორის გამგე ამხ. გულნარა გრიგოლის ასული **დემურია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

**თბილისი. 1979 წლის 13 სექტემბერი.**

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 272 ამხ. გ. გ. კაციტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, ადმინისტრაციულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ბორის გაბრიელის ძე **კაციტაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

**თბილისი. 1979 წლის 13 სექტემბერი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 273 ამხ. ლ. გ. ნადირაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით სამტრედიის რაიონის გომის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ლეონონ გედეონის ძე **ნადირაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 14 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 274 ამხ. შ. მ. ოქროპირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, პროფკავშირულ ორგანოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლთან დაკავშირებით პროფკავშირების აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შოთა მევლუდის ძე **ოქროპირიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 14 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 275 ამხ. ვ. ა. სობოლევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ამხ. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **სობოლევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

**თბილისი. 1979 წლის 14 სექტემბერი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 276 ამხ. ო. ნ. სულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ამხ. ოთარ ნიკოლოზის ძე **სულაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 14 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 277 ამხ. შ. რ. ხუნდაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბუხჰალტრო აღრიცხვის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ამხ. შალვა რომანის ძე **ხუნდაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 14 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 278 საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოდნენ საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემის მუშაკები:

გიორგი დარჩოს ძე **ადამაშვილი** — თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის მუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რევაზ კონსტანტინეს ძე **ბურძგლა** — ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის ზეინკალი.

ზაურ ნიკოლოზის ძე **კაზიევი** — თბილისის ხის დამმუშავებელი კომბინატის ზეინკალი.

ივანე მიხეილის ძე **ქურთიაშვილი** — თბილისის საწარმოო გაერთიანება „განთიადის" დურგალი.

პროკოფი გიორგის ძე **ღვალაძე** — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო განყოფილების უფროსი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 27 სექტემბერი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1979 წლის 28 სექტემბრის სხდომაზე მოისმინა რესპუბლიკის ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობაზე დეპუტატთა საგუშაგოების მიერ გაწეული მუშაობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების ინფორმაცია. აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის ივნისში ასეთ დაწესებულებათა მშენებლობებზე შეიქმნა 54 დეპუტატთა საგუშაგო, რომელთა შემადგენლობაში არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 40 დეპუტატი და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სხვადასხვა რგოლის დეპუტატები. მათ წინაშე იდგა ამოცანები — განეხორციელებინათ მუდმივი კონტროლი საბავშვო ბაღებისა და ბაგების მშენებლობის მიმდინარეობაზე, დაერაზმათ მშენებლები დადგენილ ვადებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულებისათვის, ოპერატიული დახმარება გაეწიათ სხვადასხვა დაბრკოლებათა აღმოფხვრაში, შეექმნათ ყველა აუცილებელი პირობა აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით რეალიზაციისათვის.

ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, ფოთში, გაგრაში, მარნეულის, ზუგდიდის, კასპის, თელავის, დმანისის, **გარდაბნის** რაიონებში ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობაზე შექმნილი დეპუტატთა საგუშაგოების საქმიანობამ ამ ამოცანათა გადასაჭრელად მუშაობის შედარებით მცირე პერიოდში კარგი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ ეს ყველაზე არ ითქმის.

ამასთანავე ზოგიერთ დეპუტატთა საგუშაგოს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა; მრავალმა მათგანმა ვერ გაშალა სათანადო საკონტროლო და ორგანიზატორული საქმიანობა, მათი მუშაობა ზოგჯერ მხოლოდ მშენებლობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზე შექმნილი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის უბრალო რეგისტრაციით შემოიფარგლება.

სახალხო დეპუტატთა ბევრი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი თავის მხრივ ჯეროვნად ვერ სწვდება დეპუტატთა საგუშაგოების ყოველდღიურ მუშაობას, არ უწევს მათ აუცილებელ პრაქტიკულ დახმარებას, ქმედითად და ოპერატიულად არ ეხმაურება დეპუტატთა საგუშაგოების სიგნალებს, არ ღებულობს ზომებს მათ მიერ გამოვლენილი სიძნელეების, დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა მუშაობა დეპუტატთა საგუშაგოების შემადგენლობაში ჩაითვალოს სადეპუტატო საქმიანობის ქმედით და ეფექტიან ფორმად, რომელიც მათ საზოგადოებრივი აქტიურობის ახალ ფართო ასპარეზს უხსნის, ზრდის მათს ავტორიტეტს და ადგილს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადაჭრაში, მთლიანად აფართოებს ყველა რგოლის საბჭოების სახელმწიფო საქმიანობის სფეროს.

ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობაზე მოქმედ დეპუტატთა საგუშაგოებს დაევალათ:

— გულდასმით შეისწავლონ მშენებლობებზე არსებული მდგომარეობა, გამოააშკარაონ და დაძლიონ ნაკლოვანებები, შეურიგებლად იბრძოლონ დანაკარგების წინააღმდეგ, გამოძებნონ გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობები, ხელი შეუწყონ მშენებელთა შრომით კოლექტივებს სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების რიტმული და მაღალხარისხიანი შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გასაჩაღებლად;

— ოპერატიული დახმარება გაუწიონ მშენებლებს არსებული სიძნელეებისა და ხელშემშლელი მიზეზების დაძლევაში, გაბედულად დააყენონ ეს საკითხები სათანადო სამინისტროების, უწყებების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე და მიაღწიონ მათ დადებითად გადაჭრას;

— მშენებლობებზე არსებული მდგომარეობისა და საგუშაგოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ყოველთვიურად — ყოველი თვის პირველ დეკადაში — მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ:

— შეუნელებელი ყურადღებით მოეკიდონ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობაზე მოქმედი დეპუტატთა საგუშაგოების საქმიანობას, წარმართონ და კოორდინირება გაუწიონ მათს მუშაობას, აღმოუჩინონ აუცილებელი მეთოდური და პრაქტიკული დახმარება;

— ოპერატიული რეაგირება მოახდინონ დეპუტატთა საგუშაგოების სიგნალებსა და მათ მიერ აღძრულ საკითხებზე, პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის მდგომარეობა, გადამჭრელი ზომები მიიღონ ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ განიხილონ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობაზე მოქმედი დეპუტატთა საგუშაგოებიდან შემოსული წინადადებები და მიიღონ აუცილებელი ზომები მათს განსახორციელებლად.

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს ტელევიზიამ და რადიომ პერიოდულად განაზოგადონ დეპუტატთა საგუშაგოების მუშაობა ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობაზე; უფრო ფართოდ გამოაქვეყნონ გაზეთების ფურცლებზე სათანადო მასალები, გააშუქონ რადიო და ტელეგადაცემებში.

სათანადო დავალება მიეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებასაც.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა დეპუტატ ლ. თოფურიას ინფორმაცია რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის მევენახეობისა და მეჩაიეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესების თაობაზე ამავე კომისიის 1977 წლის 12 აგვისტოს დადგენილების შესრულების შესახებ.

ამავე სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქიმიური მრეწველობის საწარმოებში ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და შრომის შესახებ კანონმდებლობის შესრულების თაობაზე.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. მდივანმა.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ნ. ხოზრევანიძის მოხსენება რესპუბლიკაში ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ნატროშვილმა.

* *
*

კომისიებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი დადგენილებანი.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 28 სექტემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდე-

ნებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 170 მრავალშვილიანი დედა:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის | საქარხნო რაიონიდან | 2 |
| ქ. ტყიბულიდან | | 4 |
| „ წყალტუბოდან | | 9 |
| „ ჭიათურიდან | | 4 |
| ადიგენის | რაიონიდან | 3 |
| ახმეტის | „ | 5 |
| ბოგდანოვკის | „ | 3 |
| ბოლნისის | „ | 9 |
| გეგეჭკორის | „ | 2 |
| გორის | „ | 9 |
| დმანისის | „ | 24 |
| ვანის | „ | 9 |
| ზესტაფონის | „ | 2 |
| ზუგდიდის | „ | 5 |
| თელავის | „ | 2 |
| ლანჩხუთის | „ | 2 |
| მარნეულის | „ | 27 |
| მახარაძის | „ | 3 |
| მესტიის | „ | 7 |
| ორჯონიკიძის | „ | 1 |
| საგარეჯოს | „ | 20 |
| ცხაკაიას | „ | 4 |
| ჩოხატაურის | „ | 2 |
| წალენჯიხის | „ | 9 |
| წულუკიძის | „ | 1 |
| ხაშურის | „ | 2 |

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 28 სექტემბრის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 2.048 კაცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ქ. თბილისის | კალინინის | რაიონიდან | 45 |
| „ | ორჯონიკიძის | „ | 56 |
| „ | ოქტომბრის | „ | 138 |
| „ | 26 კომისრის | „ | 219 |
| ქ. ზუგდიდიდან | | | 20 |
| „ ტყიბულიდან | | | 130 |
| „ ქუთაისის | ავტოქარხნის | რაიონიდან | 5 |
| ბორჯომის | | რაიონიდან | 17 |
| გურჯაანის | | „ | 230 |
| დმანისის | | „ | 45 |

| | | |
|---|---|---|
| ვანის | რაიონიდან . . . . . | 101 |
| ზესტაფონის | „ . . . . . | 456 |
| კასპის | „ . . . . . | 146 |
| ლაგოდეხის | „ . . . . . | 65 |
| ლენტეხის | „ . . . . . | 19 |
| ორჯონიკიძის | „ . . . . . | 89 |
| სამტრედიის | „ . . . . . | 65 |
| ჩოხატაურის | „ . . . . . | 74 |
| წულუკიძის | „ . . . . . | 95 |
| ხაშურის | „ . . . . . | 33 |